ხელშეკრულება №90
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 30 მაისი, 2022 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16, ტელეფონი: 226-13-35, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ს/ნ-204862078) შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**“, წარმოდგენილი მისი საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის **გიორგი გომარელის** სახით და **სს „გრინვეი საქართველო“** (მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №6, ტელეფონი: 577-544-421, 2-99-77-77; საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE39BG0000000269401700, სს ,,საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22, ს/ნ-404867006) წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის **თეონა ჭკადუას** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ზ” ქვეპუნქტის, “გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 17 აგვისტოს სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის, ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობისა და საფასურების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვარის №37 დადგენილებისა და „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №510 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – ,,ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ - ხელშეკრულებით განსაზღვრული საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 ,,შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 ,,მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 ,,მომსახურება“ _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

მომსახურებები ტექნიკური შემოწმებისა და ტესტირების სფეროში
(CPV კოდი - 71630000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **60 (სამოცი) ლარს.**
3.2 აღნიშნული ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად, მომსახურება განახორციელოს ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობისა და საფასურების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვარის №37 დადგენილებისა და „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №510 დადგენილების მოთხოვნების დაცვით.

ბ) მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2022 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმწოდებლის სერვისცენტრში მიყვანიდან არაუგვიანეს იმავე დღისა.

გ) მომსახურების გაწევა უზრუნველყოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6.

დ) მომსახურების განხორციელების შემდეგ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიმწოდებელი ვალდებულია გასცეს ავტოსატრანპორტოს საშუალების ინსპექტირების ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების შედეგებსა და დასკვნას წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული დადგენილებებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ინსპექტირების ანგარიშის ფორმა გაცემული უნდა იყოს სსიპ - “აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის” მიერ დადგენილი ფორმით.

ე) ინსპექტირების შედეგების მიხედვით ინსპექტირების ცენტრის მიერ შევსებულ იქნას ინსპექტირების ანგარიში ელექტრონული სახით აკრედიტაციის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ფორმის შესაბამისად.

ვ) თუ ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ხარვეზები და პირობები, რომლებიც კრძალავს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას, ინსპექტირება არ ჩათვალოს დადებითად გავლილად და მიმწოდებელი ვალდებულია სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეზე (მფლობელზე) გასცეს ინსპექტირების ანგარიში ხარვეზების მითითებით. ინსპექტირების ანგარიშში მითითებული ხარვეზებისა და პირობების აღმოფხვრის შემდეგ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე (მფლობელი) წარუდგენს სატრანსპორტო საშუალებას ინსპექტირების ცენტრს განმეორებითი ინსპექტირების ჩასატარებლად.

ზ) სატრანსპორტო საშუალების განმეორებითი ინსპექტირებაზე წარდგენა უნდა მოხდეს პირველი ინსპექტირების დროს ხარვეზებისა და პირობების გამოვლენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ ინსპექტირება ხორციელდება საერთო საფუძველზე.

თ) თუ სატრანსპორტო საშუალების განმეორებითი ინსპექტირება ხორციელდება იგივე ინსპექტირების ცენტრში, რომელშიც ჩატარდა პირველი ინსპექტირება, განმეორებითი ინსპექტირება ტარდება მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე ინსპექტირების ანგარიშზე აღნიშნულ მხოლოდ იმ პოზიციებზე, რომლებიც არ აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს.

ი) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

კ) განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა გაწეული მომსახურების შესახებ;

ლ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტში მითითებულ მიმწოდებლის ტესტირების სერვისცენტრის მისამართზე ავტოსატრანსპორტო საშუალების საკუთარი ხარჯით მიყვანა საჭიროების მიხედვით, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 2022 წლის 30 ოქტომბრისა.

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - **თემურ ჩინჩალაძე** და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - **ირაკლი დვალი,** რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს წუნი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით მატერიალურად ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით (შემსყიდველი ორგანიზაცია ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას მიღება-ჩაბარების აქტის მისთვის მისაღები ფორმის შერჩევასთან დაკავშირებით, რომელზეც შესრულებული იქნება ხელმომწერი პირ(ებ)ის კვალიფიციური ხელმოწერა ან/და დამოწმებული ორგანიზაციის კვალიფიციური შტამპით) მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის/დასკვნების საფუძველზე.

6.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს **ზაქარია წითლაური** _ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი.

6.3 თუ მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (თუ პირი დღგ-ის გადამხდელია) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%-**ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%-**ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობითი ფორმით მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით (შემსყიდველისთვის მისაღები ფორმით), ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **10 (ათი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით.

15.2 მხარეები უფლებამოსილი არიან, ხელშეკრულება დაამოწმონ/დაადასტურონ კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით.

15.3 ხელშეკრულების ელექტრონულ ასლს ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ ან/და ელექტრონული შტამპით არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, **ტელეფონი:** 2 261335, **საბანკო რეკვიზიტები**: ანგ. №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, **ს/ნ**-204862078	**სს „გრინვეი საქართველო“** **მისამართი:** ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №6, **ტელეფონი:** 577-544-421, 2-99-77-77; **საბანკო რეკვიზიტები**: ანგ. №GE39BG0000000269401700, სს ,,საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22, **ს/ნ**-404867006
_____	_____

Teona Chkadua

Digitally signed by Teona Chkadua
Date: 2022.05.30 12:16:28 +04'00'

დანართი №1

N	ავტომანქანის მარკა	ავტომანქანის მოდელი	ავტომანქანის სარეგისტრაციო ნომერი	VIN კოდი:	ავტომანქანის ტიპი	მდებარეობა	კატეგორია	მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	VOLKSWAGEN	PASSAT	RR-181-RF	1VWBS7A30GC059396	მსუბუქი	თბილისი	M1	60